ადრესატი:

ბესიკ ტაბიძე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

წერილის ნომერი:**31-31233008**
თარიღი: **27/10/2023**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“

სხდომის ოქმი N 7

ქ. ლანჩხუთი

24. 10. 2023 წელი

14:00 საათი

სხდომას ესწრებოდა: ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე **კახაბერ ასკურავა.**

ფრაქციის წევრები: გიორგი გოგუაძე, ირმა მგელაძე, გივი ცინცაძე.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდა მოწვეული სტუმრები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **როლანდ ლაშხია**, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი **შოთა ჩაგუნავა,** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი **ირაკლი ხუხუნაიშვილი,** მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მენეჯერი **ნონა იმნაძე,** საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში: **ლაშა სარჯველაძე,** საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი **ნინო ჭანტურიშვილი.**

ფრაქციის სხდომის თავმჯდომარემ, კახაბერ ასკურავამ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის N37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების განხილვა.

/მომხსენებელი: კახაბერ ასკურავა/

2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის სექტემბრის თვის შესრულების ანგარიშის მოსმენის შესახებ.

/მომხსენებელი: კახაბერ ასკურავა/

3. „საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების განხილვა.

/მომხსენებელი: კახაბერ ასკურავა/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში პროექტ „ევროკავშირი ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარებისთვის (EU4ITD) ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორი ფარგლებში“ განსახორციელებელი პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის N74 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების განხილვა.

/მომხსენებელი: კახაბერ ასკურავა/

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, შპს ,,ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის ცენტრისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N60 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების განხილვა.

/მომხსენებელი: კახაბერ ასკურავა/

6. **„**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, შპს ,,ვი-ჯი-ეს ნეთვორქისათვის“ (ს/ნ 438724490) პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების განხილვა.

/მომხსენებელი: კახაბერ ასკურავა/

7. სხვადასხვა საკითხები

დღის წესრიგის პროექტის მიმართ ფრაქციის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

ფრაქციის თავმჯდომარემ, კახაბერ ასკურავამ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

მომხრე 4; წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის N37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ისაუბრა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიამ** და განმარტა, რომ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის N2475 განკარგულებაში საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 19 ივლისს N1334 განკარგულებით შეტანილი ცვლილებით შემცირდა გზების სარეაბილიტაციო (ორგ.კოდი 0201) სამუშაოების დაფინანსება 35740 ლარი, ხოლო საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 22 აგვისტოს N1530 განკარგულებით შეტანილი ცვლილებით გზების რეაბილიტაციის (ორგ.კოდი 0201) დაფინანსება გაიზარდა

1550000 ლარით. აქედან, გაიზარდა აკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ შუხუთიდან სოფელ გაგურის ცენტრამდე გზის რეაბილიტაცია 300001 ლარით, მათ შორის რეგ,ფონდიდან-285000 ლარი და ადგილობრივი ბიუჯეტი-15001 ლარი; მუნიციპალიტეტის შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია გაიზარდა 869800 ლარით, მათ შორის რეგ,ფონდის ხარჯზე-826310 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსება- 43490 ლარი. ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ ჭალაში გზის რეაბილიტაცია გაიზარდა 37084 ლარი, რეგ.ფონდი-35229 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსება-1855 ლარი; ქალაქ ლანჩხუთში ქუჩების რეაბილიტაციაზე მიიმართა 424696 ლარი, აქედან რეგ.ფონდიდან 403461 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსება- 21235 ლარი. საქართველოს მთავრობის 2023 წლის 20 იანვრის N116 განკარგულებაში შევიდა ცვლილება მიმდინარე წლის 13 აპრილს N700 განკარგულებით, 15 მაისის N894 განკარგულებით და 7 სექტემბერს N1607 განკარგულებებით გამოიყო 3750000 ლარი: საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების ექსპლუატაცია და რეაბილიტაციის დაფინანსებაზე 712878 ლარი, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობის ექსპლუატაცია-რეაბილიტაციაზე 187122 ლარი, სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობის მოწყობა რეაბილიტაციაზე 1750000 ლარი და გზების კაპიტალურ შეკეთებაზე 1100000 ლარი. საქართველოს მთავრობის 2023 წლის 15 სექტემბრის N1640 განკარგულებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს ნაგავმზიდის შესაძენად გამოეყო 396180 ლარი, მათ შორის 2023 წელს გადასახდელად 158472 ლარი. საქართველოს მთავრობის 2023 წლის 29 სექტემბრის N1740 განკარგულებით სტიქიის შედეგად განსახორციელებელი ღონისძიებების დასაფინანსებლად გამოიყო 170000 ლარი (სექტემბრის თვეში განვითარებული სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის სასტუმროში გადაყვანისა და სასტუმროს ხარჯების დაფინანსებისათვის). ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამის სუბსიდიის მუხლის 97100 ლარის შემცირების ხარჯზე გაზარდოს არაფინანსური აქტივები 40000 ლარი და საქონელი და მომსახურების მუხლი 57100 ლარი. საერთაშორისო ორგანიზაცია „GIZ“-დან გამოიყო გრანტი ქალაქ ლანჩხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში აგრარული ბაზრის, ავტო სალაროს და ბავშვთა გასართობი სკვერის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებისათვის. დაფინანსებამ შეადგინა 37777 ლარი. საერთაშორისო ორგანიზაცია „GIZ“-დან გამოყოფილი გრანტი 100000 ლარი მიიმართოს არაფინანსური აქტივების მუხლში 35000 ლარი და საქონელი და მომსახურების მუხლში 65000 ლარი. მუნიციპალიტეტის მერიის სხვა ხარჯების მუხლის 30000 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს მერიის საქონელი და მომსახურების ხარჯი 25000 ლარით და ახალგაზრდობის მხარდაჭერის ღონისძიებების დაფინანსდება 5000 ლარით. საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 17 მარტის N545 განკარგულებით ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის არაფინანსური აქტივების მუხლის დაფინანსება გაიზარდოს 225711 ლარით. (ზიპლაინი). საგზაო ნიშნების და უსაფრთხოების მომსახურების ხარჯი გაიზარდოს 830 ლარით. ანალიზის შედეგად უნდა განხორციელდეს შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები კერძოდ: ლესის ადმინისტრაციულ ერთეულში ადმინისტრაციული შენობის ფასადის შეღებვა 8173 ლარი, ქალაქის ადმინისტრაციულ ერთეულში ჟორდანიას ქუჩაზე საფეხმავლო ბილიკების ადაპტირება შშმ პირებზე 111155 ლარი და ქალაქ ლანჩხუთში მოსაცდელის მოწყობა 19500 ლარი, ნიგოითის ადმინისტრაციულ ერთეულში ყოფილი ბიბლიოთეკის შენობის რეაბილიტაცია 120500 ლარი, ჩოჩხათის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფ.გულიანში შინმოუსვლელთა სტენდის მოწყობა 8613 ლარი, მაჩხვარეთის ადმინისტრაციულ ერთეულში სასაფლაოსთან მისასვლელი გზის მოწყობა 26555 ლარი. ქ.ლანჩხუთში ცენტრალურ სკვერში საპირფარეშოს და ღია კაფეს ელ.ენერგიის, წყალმომარაგების და საკანალიზაციო სისტემის დაერთების ღირებულება 10200 ლარი. საპროექტო დოკუმენტაციის და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა გაიზარდოს არაფინანსური აქტივების მუხლი 40000 ლარი. კულტურის ხელშეწყობის პროგრამაში (05.02.02) საქონელი და მომსახურების მუხლიდან 442 ლარის შემცირების ხარჯზე, გაიზარდოს განათლების ხელშეწყობის პროგრამა კოდი (0403) სხვა ხარჯების მუხლი 442 ლარით. განათლების ხელშეწყობის პროგრამა გაიზარდოს 8300 ლარით. ა(ა)იპ კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების არაფინანსური აქტივების მუხლის 15000 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს საქონელი და მომსახურების მუხლი 15000 ლარით.

ა(ა)იპ კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის მომართვის საფუძველზე მიზანშეწონილად ჩაითვალა ორგანიზაციულ კოდებს შორის თანხის გადანაწილება: 03 01 არაფინანსური აქტივების მუხლი გაიზარდოს 150000 ლარით, ტრანსპორტის ექსპლუატაცია -რეაბილიტაციის შენახვის ხარჯის 150000 ლარით შემცირების ხარჯზე, საქონელი და მომსახურების 950 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს შრომის ანაზღაურების მუხლი 950 ლარით, მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარების (02 07) 3700 ლარით, გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია შრომის ანაზღაურების მუხლის 5075 ლარით, ტრანსპორტის მუხლის 22275 ლარის, წყლის სისტემის ექსპლუატაციის ტრანსპორტის 2300 ლარის, არაფინანსური აქტივების 3000 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს გარე განათების ქსელის ექსპლუატაციის შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება 5850 ლარით და წყლის სისტემის ექსპლუატაციის შტატით მომუშავეთა ანაზღაურება 950 ლარით, სხვა საქონელი და მომსახურების მუხლი 29550 ლარი. ა(ა)იპ სახელოვნებო განათლების ხელშეწყობის შრომის ანაზღაურების 5800 ლარის შემცირების ხარზე გაიზარდოს ოფისის მუხლი 5800 ლარით. ა(ა)იპ საფეხბურთო სკოლის დაფინანსება გაიზარდოს 3100 ლარით. შპს ქალთა საფეხბურთო კლუბი ლანჩხუთის ლანჩხუთის დაფინანსება გაიზარდოს 35000 ლარით. შპს ლანჩხუთის დაფინანსება გაიზარდოს 10000 ლარით. ა(ა)იპ სპორტული ცენტრის დაფინანსება შრომის ანაზღაურების მუხლის 3800 ლარის, სხვა ხარჯების მუხლის 5200 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს არაფინანსური აქტივების მუხლი 9000 ლარით და დამატების გამოეყოს არაფინანსური აქტივების მუხლში 6000 ლარი. „შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამის“ (პროგრამის კოდი 06 02 16) 11000 (თერთმეტი ათასი) ლარით, „გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისა და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობის პროგრამის“ (პროგრამის კოდი 06 02 18) 1000 (ათასი) ლარით, „მინდობით აღზრდაში განთავსებულ ბავშვებს, რომელთა რეინტეგრაცია ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება განხორციელდება ერთჯერადი ფინანსური დახმარების პროგრამის “(პროგრამის კოდი 06 02 20) 3000 (სამიათასი) ლარით, „მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამის“ (პროგრამის კოდი 06 02 02) 7000 ((შვიდი ათასი) ლარით, „ბიკარბონატული ჰემოდიალეზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამის“(პროგრამის კოდი 06 02 01) 21000 (ოცდაერთი ათასი) ლარით, „იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამის“ (პროგრამის კოდი 06 02 07) 3000 (სამიათასი) ლარით, „აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამის (პროგრამის კოდი 06 02 23) 13 000 (ცამეტი ათასი) ლარით, „რისკის ქვეშ მყოფი 0- დან 18 წლამდე ბავშვიანი ოჯახების გაძლიერების პროგრამა“. (პროგრამის კოდი 06 02 25) 10 000 (ათიათასი) ლარით, „უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამის“ (პროგრამის კოდი 06 02 13) შემცირების ხარჯზე 1000 (ერთი ათასი), 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარით გაიზარდოს „მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა“ (პროგრამის კოდი 06 02 09), 22000 (ოცდაორი ათასი) ლარით „ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია/ჰაბილიტაციის ქვეპროგრამით მოსარგებლე შშმ ბავშვების და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამა”(პროგრამის კოდი 06 02 17), 19600 (ცხრამეტიათას ექვსასი) ლარით „სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა“ (პროგრამის კოდი 06 02 03); 7200 (შვიდიათას ორასი) ლარით ,,გამარჯვებულ ქალთა კლუბის" სარეაბილიტაციო პროგრამა" (პროგრამის კოდი 06 02 10), 1200 (ათას ორასი) ლარით ცელიაკიით დაავადებულთა (18 წლამდე ასაკის) კვებითი დანამატებით უზრუნველყოფის პროგრამა. (პროგრამის კოდი 06 02 22), 5000 (ხუთიათასი) ლარით „ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა“ (პროგრამის კოდი 06 02 14) „სადღესასწაულო და ღირსშესანიშნავ დღეებთან დაკავშირებით საკვები პროდუქტებისა და ტკბილეულის შეძენად გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი სოციალურად დაუცველი უმწეო ოჯახებისათვის ქვეპროგრამაზე“. დამატებით გაიზარადოს 10000 (ათი ათასი) ლარით „ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია/ ჰაბილიტაციის ქვეპროგრამით მოსარგებლე შშმ ბავშვების და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამა”(პროგრამის კოდი 06 02 17) პროგრამაში.

40000 ლარით გაიზარდოს (პროგრამის კოდი 06 02 12) მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის ერთჯერადი დახმარების პროგრამა. გაზრდილი გადასახდელების დაფინანსება და არაფინანსური აქტივების კლების გეგმის 68000 ლარით შემცირება განხორციელდება დამატებითი ღირებულების გადასახადის გეგმის 271400 ლარით, სანქციების, ჯარიმების და საურავების გეგმის 100000 ლარით, შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლის გეგმის 93237 ლარით ზრდის ხარზე. ზემოთ აღნიშნული ღონისძიებები უნდა აისახოს ბიუჯეტში.

ფრაქციის თავმჯდომარემ **კახაბერ ასკურავამ** შეკითხვით მიმართა საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსს, თუ რამდენად ნორმალურად მიაჩნია თანამდებობის პირებისა და ა(ა)იპ-ების თანამშრომლების ფინანსურ სარგოს შორის ამხელა სხვაობა, რაზეც **როლანდ ლაშხიამ** უპასუხა, რომ თანამდებობის პირების ხელფასს განსაზღვრავს ცენტრალური ხელისუფლება, ხოლო ა(ა)იპ-ების ხელფასს ადგილობრივი თვითმმართველობა საერთო რესურსიდან გამომდინარე. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ ამ შენობაში თვეში ხელფასის სახით 180 000 ლარი გადის. მთლიანად ხელფასი თითქმის 8 მლნ. ლარია და ბიუჯეტი არის დაახლოებით 19 მლნ. ლარი.

ნონა იმნაძემ აღნიშნა, რომ ოზურგეთსა და ჩოხატაურში, ასევე ჭიათურასა და წყალტუბოში მისი სტატუსის მქონე მუზეუმებს გაცილებით დიდი ხელფასები აქვთ.

ირმა მგელაძემ განაცხადა, რომ ხელფასის 10 % - იანი ზრდა არის მხოლოდ საჯარო მოხელეებზე გათვლილი და ა(ა)იპ-ების თანამშრომლების შემთხვევაში ეს არის ადგილობრივი თვითმმართველობის კეთილი ნება. ის დაინტერესდა, სოფლის პროგრამით დაწყებული პროექტის ადგილობრივი ბიუჯეტით დასრულება თუ შეიძლება, რაზეც **როლანდ ლაშხიამ** აღნიშნა, რომ ეს შესაძლებელია და საქმიანობა უკანონოდ არ ჩაითვლება. **ირმა მგელაძე** დაინტერესდა საპატიო „ლანჩხუთელობისთვის“ გამოყოფილი 500 000 ლარი დევს თუ არა ისევ ბიუჯეტში. **როლანდ ლაშხიამ** უპასუხა, რომ თანხა არის ბიუჯეტში განსაზღვრული, მაგრამ მისი აზრით ეს თანხა აღნიშნულ საკითხს არ მოხმარდება.

გიორგი გოგუაძე დაინტერესდა, თუ რა თანხაა გამოყოფილი სტიქიით მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო ღონისძიებებისთვის, რაზეც **როლანდ ლაშხიამ** გააკეთა განმარტება, რომ თანხა შეადგენს 3 750 000 ლარს. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია თითქმის დამთავრებულია და ახლა მიმდინარეობს ქალაქის ქუჩების რეაბილიტაცია. **როლანდ ლაშხიამ** აღნიშნა, რომ საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების ექსპლუატაცია გულისხმობს თუნუქის სახურავებით და მასალებით უზრუნველყოფას და განმარტა რომ „GIZ“- არის საერთაშორისო გერმანული ორგანიზაცია.

გიორგი გოგუაძემ გამოთქვა უკმაყოფილება, რომ გრიგოლეთის სასტუმროები უპატრონოდაა დარჩენილი, 2 სასატუმრო გაუქმდა კიდეც და შეკვეთილში 1 700 000 ლარს ურიცხავენ ერთ ადამიანს, რომელიც „ქართული ოცნების“ შემომწირველია. ის ასევე დაინტერესდა, ზიპლაინის დამონტაჟების გამართულობის და მოსახლეობისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნის შესახებ.

გიორგი გოგუაძემ განაცხადა, რომ წარმოდგენილ საკითხს მხარს არ უჭერს, რასაც ფრაქციის ყველა წევრი დაეთანხმა.

სხდომის თავმჯდომარემ, კახაბერ ასკურავამ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

მომხრე 0; წინააღმდეგი 4.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის სექტემბრის თვის შესრულების ანგარიშის შესახებ ისაუბრა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ.** მან აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 2023 წლის სექტემბრის თვეში საბიუჯეტო შემოსულობებმა შეადგინა 2198167.58 ლარი, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გრანტების სახით მიღებულია 748167 ლარი; შემოსავლები კაპიტალურის ჩათვლით მიღებულია 1450000.58 ლარი, რამაც წლიურ შესრულებასთან შეადგინა 80.2 %. მათ შორის დამატებითი ღირებულების სახით მიღებულია 978004.81 ლარი, სხვა შემოსავლების სახით - 426208.138 ლარი, მათ შორის ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის - 3407.26 ათ. ლარი, რამაც წლიურ შესრულებასთან შეადგინა 94.6 %. ჯარიმები, სანქციები და საურავების სახით მიღებულია 414101.738 ლარი, რამაც წლიურ შესრულებასთან შეადგინა 104.4 %.

საანალიზო პერიოდში გაწეულია 24403891 ლარის ხარჯი. მათ შორის - შტატით მომუშავეთა შრომის ანაზღაურებაზე მიიმართა 5129045 ლარი, არაფინანსური აქტივების მუხლით გახარჯულია 9610611 ლარი, საქონელი და მომსახურების მუხლით გახარჯულია 5406261 ლარი, მათ შორის შტატგარეშე მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურებაზე 2097120 ლარი. მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ საერთო ჯამში, მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსავლების დინამიკა მიმდინარეობს ნორმალურად და ყველა ვალდებულება შესრულებულია.

ფრაქციამ მოისმინა აღნიშნული საკითხი და ცნობად მიიღო.

დღის წესრიგის მესამე საკითხი: „საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ საკითხი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ** და განმარტა, რომ ზემოაღნიშნული დადგენილების ცვლილების პროექტის მომზადება განპირობებულია საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2023 წლის 12 სექტემბრის NGOV 2 23 00026382 წერილის საფუძველზე. მთავრობის იურიდიული დეპარტამენტის მიერ, განხორციელებული სამართლებრივი ზედამხედველობის ფარგლებში, ,,საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N17 დადგენილების სამართლებრივი ექსპერტიზისას გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მომზადდა შესაბამისი ნორმატიული აქტის ცვლილების პროექტი. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიზანშეწონილია საკრებულომ გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი განიხილოს ნორმატიული აქტის ცვლილების პროექტი, ვინაიდან დადგენილების მისაღებად საკრებულომ უნდა დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება, სამსახურის მიერ მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტიც. **შოთა ჩაგუნავამ** აგრეთვე აღნიშნა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას და არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

სხდომის თავმჯდომარემ, კახაბერ ასკურავამ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 4; წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში პროექტ „ევროკავშირი ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარებისთვის (EU4ITD) ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორი ფარგლებში“ განსახორციელებელი პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის N74 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ისაუბრა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარემ **კახაბერ ასკურავამ,** რომელმაც განმარტა, რომ ცვლილება გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ დონორი ორგანიზაციის (GIZ) მოთხოვნაა განკარგულებაში დაფიქსირდეს მუნიციპალიტეტის მზაობა პროექტის თანადაფინანსებაზე. შესაბამისად ცვლილება შედის განკარგულების პირველ მუხლში.

სხდომის თავმჯდომარემ, კახაბერ ასკურავამ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 4; წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის მეხუთე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, შპს ,,ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის ცენტრისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N60 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ საკითხი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსმა **ირაკლი ხუხუნაიშვილმა** და განმარტა რომ, რომ, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას, წერილობითი განცხადებით (განცხადების N13/302328333-30 თარიღი: 10.10.2023) მომართა შპს ,,ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის ცენტრის“ (ს/ნ 433654397) დირექტორმა ეკატერინე ჩუბინაშვილმა, რომელმაც ცენტრის მიზნებიდან გამომდინარე, ითხოვა საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 106 1 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N60 განკარგულების საფუძველზე, შპს-სთვის სარგებლობის უფლებით გადაცემული მოძრავი ქონების, საკუთრებაში გადაცემა.

სხდომის თავმჯდომარემ, კახაბერ ასკურავამ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 4; წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის მეექვსე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, შპს ,,ვი-ჯი-ეს ნეთვორქისათვის“ (ს/ნ 438724490) პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ისაუბრა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსმა **ირაკლი ხუხუნაიშვილმა** და განმარტა რომ, რომ, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას, წერილობითი განცხადებით მომართა შპს ,,ვი-ჯი-ეს ნეთვორქის“ (ს/ნ 438724490) დირექტორმა ვახტანგ ჩიგოგიძემ (კანცელარიის N10/302329022 – 17.10.2023 წ.) რომელმაც ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის მონტაჟისათვის, ხუთი წლის ვადით, ითხოვა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზღვრებში, სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულში - ს/კ 27.00.336; ს/კ 27.00.356; ს/კ27.00.358; ს/კ 27.00.355; ს/კ 27.00.357; ს/ კ 27.00.354 საკადასტრო კოდებზე განთავსებული 231 ერთეულ გარე განათების საყრდენ ბოძზე განსაზღვრული მონაკვეთი) პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემა. მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მოსაზრებაა, რომ შპს ,,ვი-ჯი-ეს ნეთვორქს“, მის მიერ მოთხოვნილი მუნიციპალური ქონება, გადაეცეს ხუთი წლის ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი

სარგებლობის უფლებით. აღნიშნულმა სამსახურმა ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის 669 დადგენილების 36-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და შპს ,,საკონსულტაციო ჯგუფის კავკას აუდიტის“ 2023 წლის 2 ოქტომბრის N424 აუდიტორული დასკვნის შესაბამისად, ერთ ერთეულ ბოძზე არსებული მონაკვეთის (ნაწილის) წლიური სარგებლობის უფლების ღირებულება განსაზღვრა 5 (ხუთი) ლარის ოდენობით, ჯამში 231 გარე განათების ბოძის სარგებლობის ღირებულებამ შეადგინა 1155 (ათას ას ორმოცდათხუთმეტი) ლარი.

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული განათების ბოძის ნაწილი - წერტილი (დანართის შესაბამისად) ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის მონტაჟისათვის, წლიურ სარგებლობის ფასის ოდენობად განისაზღვროს თითოეული ბოძის ნაწილ წერტილისათვის 5 ლარი, ხოლო ხელშეკრულების ვადად 5 წელი.

სხვადასხვა.

ირმა მგელაძე დაინტერესდა, სოფელ ნიგოითში როდის დაიწყება სკოლის დემონტაჟი და არის თუ არა გეგმაში, ახალი სკოლის აშენება. ის აგრეთვე დაინტერესდა, რატომ არა აქვს აღნიშნულ სკოლას კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი, რადგან სკოლა არის 160 წლის.

შოთა ჩაგუნავამ საკითხთან დაკავშირებით გააკეთა განმარტება და აღნიშნა, რომ დემონტაჟი ჯერ არ დაწყებულა და ახალი სკოლა უნდა აშენდეს იგივე ადგილზე, დაახლოებით 70 ბავშვზე გათვლილი, თანამედროვე სტანდარტებზე მორგებული. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ რამდენიმე წლის წინ ჩატარდა აღნიშნული სკოლის რემონტი, რის შემდეგაც სრულიად დაიფარა სიძველეები, რაც უკარგავს შენობას პერსპექტივას, რომ შევიდეს ნუსხაში.

ნონა იმნაძემ აღნიშნა, რომ სკოლის საკითხთან დაკავშირებით ის დაუკავშირდა ძეგლთა დაცვის განყოფილებას, სადაც განუმარტეს, რომ ადგილზე უნდა ჩამოვიდეს სპეციალისტი და საკითხი განიხილონ ძეგლთა დაცვის საბჭოზე სკოლის დირექტორთან ერთად. თუ შენობა აკმაყოფილებს სტანდარტებს, მხოლოდ იმ შემთხვევაში ენიჭება სტატუსი.

ნონა იმნაძემ ისაუბრა მუზეუმში არსებული პრობლემების შესახებ და მოითხოვა პირველ სართულზე არსებული გამოუყენებელი ოთახის ისევ მათ საკუთრებაში გადაცემა, რომელიც რამდენიმე წლის წინ უზუფრუქტით გადასცეს იურიდიული დახმარების სამსახურს, რომლებიც არ სარგებლობენ აღნიშნული ფართით.

გიორგი გოგუაძე დაინტერესდა, თუ რამდენია მუზეუმის თანამშრომლების ანაზღაურება და სულ რამდენი თანამშრომელი ჰყავთ, რაზეც **ნონა იმნაძემ** უპასუხა, რომ ანაზღაურება არის ძალიან დაბალი და თანამშრომლების რაოდენობა განისაზღვრება 7(შვიდი) ადამიანით.

კახაბერ ასკურავამ მადლობა გადაუხადა მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მენეჯერს გულწრფელობისთვის, რომ ის ღიად საუბრობს იმ პრობლემებზე, რაც მუზეუმს გააჩნია. ფრაქციის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ არის ოპოზიციაში და გადაწყვეტილებების მიღების უფლება არ აქვთ. ისინი ყველაფერს გააკეთებენ, რომ მუზეუმს მაქსიმალური ხელშეწყობა ჰქონდეს, თანამშრომლები იყვნენ ნორმალურ სამუშაო გარემოში. მუზეუმს დიდი ხნის ისტორია აქვს, არის უნიკალური მასალები, რომლის მოვლა-პატრონობას სერიოზული თანხები სჭირდება და ასეთი დაბალი ანაზღაურება დიდი სირცხვილია.

ირმა მგელაძე დაინტერესდა, სიძველეები თუ აქვთ დაცული ოზურგეთსა და ჩოხატაურში.

ნონა იმნაძემ განმარტა, რომ იმათაც აქვთ სიძველეები, მაგრამ სოფელ შუხუთში აღმოჩენილი აბანოს ფრაგმენტი ადრე ფეოდალური ხანისაა, უფრო ძველია, იმათი კი არის შუა საუკუნეების. მას ჰქონდა მცდელობა, რომ თბილისის ეროვნული მუზეუმიდან ჩამოეტანა მოზაიკა, მაგრამ ხელი შეუშალეს.

ირმა მგელაძემ აღნიშნა, რომ პირველ რიგში უნდა ჩატარებულიყო მუზეუმის რემონტი, რადგან ეს არის ჩვენი მუნიციპალიტეტის ტურიზმი და ისტორია.

ირმა მგელაძემ განაცხადა, რომ აუცილებლად მოსაწესრიგებელია ძველი ჩაის ფაბრიკის ტერიტორია.

ამით ფრაქციის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

პატივისცემით,

კახაბერ ასკურავა

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-საკრებულოს ფრაქცია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"თავმჯდომარე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია
„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრების

სარეგისტრაციო ფურცელი
24. 10. 2023 წელი
14.00 საათი

სახელი, გვარი	დაწყების დრო	ხელმოწერა
1. თავმჯდომარე – კახაბერ ასკურავა	13.55	
2. გიორგი გოგუაძე	13.56	
3. ირმა მგელაძე	13.57	
4. გივი ცინცაძე	13,55	